9 ნაბიჯი ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკების დასაწყებად

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხედვა

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული შესასრულებელი ნაბიჯები[1]	ნაბიჯების შესასრულებლად განსახორციელებელი ღონისძიებები, მათ შორის ევროკავშირის სხვადასხვა დოკუმენტში/განცხადებაში ასახულ პოზიციებზე დაყრდნობით
1. ევროკავშირისა და მისი ფასეულობების საწინააღმდეგო დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასა და ჩარევასთან ბრძოლა **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს**: - დაუპირისპირდეს დეზინფორმაციას, რომლის მიხედვითაც დასავლეთი საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს; - ევროკომისია საქართველოზე მომზადებულ გაფართოების ანგარიშში აღნიშნავს, რომ საქართველომ „ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის“ (whole-of-society approach) გამოყენებით ჰიბრიდულ/კიბერ მედეგობის გასაზრდელად უნდა განაგრძოს ძალისხმევა. **ევროკავშირის შეფასებით**: - ჰიბრიდული საფრთხეები, მათ შორის დეზინფორმაცია, უცხოური საინფორმაციო მანიპულაცია და ჩარევა და (კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ	• დეზინფორმაციის გაქარწყლება, რომლის მიხედვითაც დასავლეთი საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს[2]. ამასთან, ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ პროაქტიული კამპანიის წარმოება; • თანამშრომლობისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც წლებია ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდასთან ბრძოლის მიმართულებით მუშაობენ; • დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსის შედეგად. შესაბამისად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე ანტიდასავლური დეზინფორმაციის წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკის შემუშავების, ისე მისი აღსრულების პროცესში, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პროფესიული წრეების ჩართულების უზრუნველყოფა. ამასთან, დაუშვებელია, პირველი ნაბიჯის შესრულების საბაბით, იმგვარი საკანონმდებლო

[1]დოკუმენტის პირველ სვეტში მოცემული მოთხოვნები და შეფასებები ეყრდნობა 2023 წლის გაფართოების პაკეტის ფარგლებში მიღებულ შემდეგ დოკუმენტებს: Commission, 2023 Communication on EU Enlargement Policy, COM(2023) 690, 08.11.2023; Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023; European Council, Conclusions, EUCO 20/23, 14-15 December 2023

[2] Commission, 2023 Communication on EU Enlargement Policy, COM(2023) 690, 08.11.2023, p. 36

განხორციელებული) კიბერთავდასხმები, გაფართოების ქვეყნებისთვის პოლიტიკურ და უსაფრთხოების გამოწვევად რჩება. გასულ წელს, რუსეთის მიერ უკრაინაზე განხორციელებული აგრესიის შემდეგ, აღნიშნული საფრთხეები როგორც ევროკავშირისთვის, ისე გაფართოების ქვეყნებისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს; - უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების გადაწყვეტილების შემდეგ, ასევე მოლდოვასა და უკრაინისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ეს სამი ქვეყანა საგარეო-საინფორმაციო მანიპულაციების კამპანიების ახალი ტალღის სამიზნე გახდა, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს გაწევრიანების მისწრაფებების დისკრედიტაციას, ევროკავშირისა და დასავლეთის დადანაშაულებას რეგიონში შექმნილ ვითარებაში. საქართველოში დეზინფორმაციის სპეციფიკური მიმართულება ცდილობდა მიენიშნებინა, რომ დასავლეთი საქართველოდან რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს; - 12 პრიორიტეტიდან პირველი, დეპოლარიზაციის შესრულების შეფასებისას, ევროკავშირი აღნიშნავს, რომ საქართველოში გრძელდება „მწვავე რიტორიკის გამოყენება, ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციის შემთხვევებთან ერთად“; - გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის მხარდაჭერაზე საუბრისას ევროკავშირი აღნიშნავს, რომ ხელშემწყობი გარემოს შექმნას ხელს უშლის, მათ შორის, გენდერული დეზინფორმაცია; - ევროკომისია საქართველოზე მომზადებულ გაფართოების ანგარიშში აღნიშნავს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მედიაწიგნიერების განვითარების მანდატი აქვს. ამასთან ევროკავშირი აღნიშნავს, რომ	რეგულირების შემოღება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას; ● 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მავნე უცხოური (რუსეთის) ჩარევისა და ადგილობრივი საინფორმაციო მანიპულაციებისგან დაცვა (დეტალური რეკომენდაციები აღნიშნულთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია კოალიციის “ინფორმაცია სანდოობისთვის” მომზადებულ დოკუმენტში[3] “დეზინფორმაციის შესახებ ევროკომისიის პირველი ნაბიჯის შესრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებები”). **რეკომენდაციები აღმასრულებელ დონეზე[4]**: ● მთავრობის ადმინისტრაციასა და სხვა სახელმწიფო უწყებებში არსებულმა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებმა უნდა იმუშაონ იმ გაცხადებული მიზნის შესასრულებლად, რაც 2018 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მათი შექმნისას განისაზღვრა - „ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შემცირება და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა“; ● როგორც მთავრობის ადმინისტრაციის, ისე სამინისტროებში არსებულმა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებმა საზოგადოებას რეგულარულად და პროაქტიულად მიაწოდონ ინფორმაცია მათი სამოქმედო გეგმებისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ; ● აღნიშნულმა უწყებებმა დეზინფორმაციის საკითხებზე მომუშავე პროფესიულ ჯგუფებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განსაზღვრონ ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის გამოწვევები და მათი ჩართულობით, დაიგეგმონ ეფექტური საპასუხო ნაბიჯები (რაც შესაძლოა მოიცავდეს

[3] კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის, ევროკომისიის პირველი ნაბიჯის, ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასთან და ჩარევასთან ბრძოლის შესრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებები (2023)
[4] იქვე

კონსტიტუციის გარდა, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ საქართველოს კანონი კომკომის როგორც ფინანსურ, ასევე პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ფორმალურად უზრუნველყოფს, თუმცა, იქვე ნათქვამია, რომ პრობლემებია მის ეფექტურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ევროკავშირი აღნიშნავს, რომ ანგარიშის პერიოდში, განათლების სამინისტრომ და კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დეზინფორმაციის გამოაშკარავებასა და მედიანიგნიერების ხელშეწყობის საკითხებში 600 მასწავლებელი გადაამზადეს.	ანტიდასავლური დეზინფორმაციის გამავრცელებელი ჯგუფების, მათი გზავნილების, ტაქტიკის გამოაშკარავებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს); ● ანტიდასავლური დეზინფორმაციის წინააღმდეგ საზოგადოებრივი მედეგობის გასაზრდელად ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრმა პროაქტიულად ისაუბროს და გამოააშკარაოს (ე.წ. „დასახელებისა და შერცხვენის“ (naming and shaming) ტაქტიკისა და წინასწარი გაქარწყლების (pre-bunking) ინსტრუმენტების გამოყენებით) ის ჯგუფები, გზავნილები და ტაქტიკები, რომლითაც საქართველოში რუსეთის მტრული საინფორმაციო კამპანიები და ჩარევის მცდელობები ხორციელდება. ამ მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაასახელოს რუსეთთან კავშირში მყოფი ჯგუფები, რომელთა მიერ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ წარმოებული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიების უმთავრეს მიზანს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსსა და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენს. ასევე, საზოგადოებას გააცნოს რუსეთის სპეციალური სამსახურების მიერ ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის მცდელობები; ● ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს მტრულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაცხადებული მიზნის მქონე პოლიტიკური დაჯგუფებების ფინანსების წარმომავლობასა და გამჭვირვალობას, რომლებიც ხელს უწყობენ რუსეთის მტრული საინფორმაციო კამპანიის მესიჯების გავრცელებას; ● ხელისუფლების მხრიდან შეწყდეს ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია, რომელიც ტრადიციულ და რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტაციას ისახავს

	მიზნად; ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ჰომოფობიური ძალადობრივი ჯგუფების ირიბი თუ პირდაპირი მხარდაჭერა; ● საჯარო სამსახურის ბიურომ, შესაბამის სამინისტროებთან კოორდინაციისა და თანამშრომლობის გზით, უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოს ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შესახებ საჯარო მოხელეების ინფორმირებულობა; ● საჯარო სამსახურის ბიურომ, სამინისტროების სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებთან კოორდინაციისა და თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული, სასწავლო პროგრამის/მოდულების შექმნა/გაზიარება საჯარო მოხელეებისთვის დეზინფორმაციის საკითხების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად; ● სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ითანამშრომლონ და გაზარდონ კოორდინაცია, როგორც ონლაინ, ასევე, რეალურ ცხოვრებაში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის განკუთვნილი მედია/ციფრული წიგნიერების მასალების შექმნის, არსებული რესურსების დახვეწისა და მათი ეფექტური გავრცელებისათვის. აღნიშნული გაკეთდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით. **რეკომენდაციები საკანონმდებლო დონეზე**[5]: ● საქართველოს პარლამენტმა უნდა შექმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც კომპანია Meta-ს ანგარიშში მითითებულ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან დაკავშირებულ კოორდინირებულ და არაავთენტური ქსელის საკითხს შეისწავლის და რეაგირების მიზნით შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებზე რეკომენდაციებს გასცემს;

[5] კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის, ევროკომისიის პირველი ნაბიჯის, ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასთან და ჩარევასთან ბრძოლის შესრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებები (2023)

	• საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, როგორც რუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის უარყოფითი გავლენის საპასუხო საქმიანობაზე პასუხისმგებელმა კომიტეტმა, უზრუნველყოს, ერთი მხრივ, საქართველოს პარლამენტში თემატური მოკვლევის პროცესის შედეგად „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ“ ანგარიშის განხილვა და განახლება, მეორე მხრივ, კი დაიწყოს აღმასრულებელ დონეზე შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებზე ზედამხედველობა. ამ მიზნით, კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს დეზინფორმაციის საპასუხო ნაბიჯებზე პასუხისმგებელი ორგანოების (სტრატკომები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, განათლების სამინისტრო, სხვ.) რეგულარული და საჯარო მოსმენების ორგანიზება პარლამენტში; • კომიტეტმა უზრუნველყოს ანტიდასავლურ დეზინფორმაციასთან ბრძოლის გზებზე რეგულარული საკომიტეტო მოსმენებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება. ასევე, საერთო თანამშრომლობის ფარგლებში, უნდა გაიმართოს მსჯელობა იმ გზებზე, თუ როგორ გაიზარდოს სოციალური მედია პლატფორმების ანგარიშვალდებულება საქართველოს ბაზარზე, უპირველესად, ევროკავშირში არსებული დეზინფორმაციის საკითხზე შექმნილი კოდექსის სულისკვეთების გათვალისწინებით. აღნიშნული, მათ შორის, შესაძლოა, მოიცავდეს პოლიტიკური რეკლამის გამჭვირვალობის ზრდას, მომხმარებლებისთვის დეზინფორმაციის ამოცნობის ინსტრუმენტების შექმნას, ფაქტების გადამმოწმებლებთან გაძლიერებულ თანამშრომლობას, და სხვა; • ამავე კონტექსტში, მიზანშეწონილია, დაიწყოს კონსულტაციები როგორც ევროკავშირის ინსტიტუტებთან, ისე ადგილობრივ პროფესიულ ჯგუფებთან „ციფრული სერვისების აქტისა“ (DSA) და ზემოხსენებული კოდექსის საქართველოს ბაზარზე გავრცელების შესაძლებლობის საკითხზე.

2. ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს თანხვედრის გაუმჯობესება. **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს:** - მნიშვნელოვნად გაზარდოს ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გაცხადებებზე მიერთების პროცენტულობა; - თავი შეიკავოს ისეთი განცხადებებისა და ქმედებებისგან, რომლებიც საგარეო პოლიტიკაზე ევროკავშირის პოზიციას ეწინააღმდეგება; - გააგრძელოს ძალისხმევა ჰიბრიდული და კიბერ საფრთხეების მიმართ მედეგობის გაზრდის მიზნით „ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის“ ფარგლებში; - კვლავ უზრუნველყოს, რომ საქართველოს ტერიტორია და/ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები მომავალშიც არ იქნან გამოყენებული სანქციების გვერდის ავლისთვის, განსაკუთრებით რუსეთსა და ბელარუსთან მიმართებაში. **ევროკავშირის შეფასებით:** - საქართველო არ უერთდება რუსეთისა და ბელარუსისთვის ევროკავშირის მიერ დაწესებულ შემზღუდავ ზომებს (სანქციებს), თუმცა მჭიდროდ და პროაქტიულად თანამშრომლობს ევროკავშირთან სანქციების გვერდის ავლის პრევენციის მიზნით;	• ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გაცხადებებზე და შემზღუდველ ზომებზე მიერთების პრაქტიკის გადახედვა და ევროკავშირის განცხადებების მხარდაჭერის მაჩვენებლის საგრძნობლად გაუმჯობესება[6]; • საერთაშორისო ფორუმებზე ევროკავშირის მიერ გამოხატული პოზიციების გაზიარებისა და მათი მხარდაჭერის გაგრძელება; • ევროკავშირთან თანამშრომლობა და ძალისხმევის გაგრძელება რუსეთის, ბელარუსის თუ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების გვერდის ავლის არდაშვების მიზნით; • ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის მიზნით ევროკავშირთან თანამშრომლობის გაგრძელება; თავის შეკავება ისეთი საგარეო-პოლიტიკური განცხადებებისა და ქმედებებისგან, რომლებიც ევროკავშირის პოზიციას ეწინააღმდეგება; • ევროკავშირის “სისტემურ მეტოქე” ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა (განსაკუთრებით პოლიტიკურ საკითხებში) და ურთიერთობების დონის შემდგომი ამაღლებისგან თავის შეკავება[7]; • რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისგან თავის ასარიდებლად საქართველოს ტერიტორიის გამოყენების წინააღმდეგ პრევენციული და, საჭიროების შემთხვევაში, ქმედითი ზომების გამოყენების გაგრძელება; • რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშემწყობი ზომების მიღებისგან თავის შეკავება;

[6] Joint press statement following the 8th Association Council meeting between the EU and Georgia, 21.02.2024

[7] Interview with Josep Borrell, EU High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy / Vice-President of the European Commission, 7.09.2023

- საქართველო არ უერთდება უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებს და საბჭოს გადაწყვეტილებებს ირანთან, თურქეთთან და რამდენიმე აფრიკულ ქვეყანასთან დაკავშირებით, ასევე შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია ევროკავშირის გლობალური ადამიანის უფლებათა სანქციების რეჟიმის ფარგლებში.	● რუსეთის ფედერაციასთან სატრანსპორტო კავშირების შემდგომი განვითარებისგან[8] თავის შეკავება (ფრენები, საზღვაო-საბორნე მიმოსვლა, ახალი დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობა) ● ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კრიზისების მართვის მისიებსა და ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობა.

[8] Interview with Josep Borrell, EU High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy / Vice-President of the European Commission, 7.09.2023

3. შემდგომი მუშაობა პოლიტიკური პოლარიზაციის დასაძლევად, მათ შორის საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებთან ერთად მეტად ინკლუზიური საკანონმდებლო პროცესის უზრუნველყოფის გზით, განსაკუთრებით საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე. **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს:** - გააგრძელოს თანამშრომლობა, კომპრომისის მიღწევა და ინკლუზიური კონსულტაციები ოპოზიციურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, განსაკუთრებით ევროინტეგრაციის დღის წესრიგთან დაკავშირებული რეფორმების ირგვლივ; - თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომლებმაც შესაძლოა პოლიტიკური დაძაბულობის გაღრმავება და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და რეფორმების დღის წესრიგის შეფერხება გამოიწვიოს; - ყველა პარტია და დაინტერესებული მხარე უნდა ეყრდნობოდეს ფართო კონსენსუსს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მისწრაფების შესაბამისად. **ევროკავშირის შეფასებით:** - გრძელდება „მწვავე რიტორიკის გამოყენება, ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციის შემთხვევებთან ერთად“;	• ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მწვავე რიტორიკის დასრულება; • ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული განცხადებების შეწყვეტა; • საარჩევნო ბარიერის 2%-მდე დაწევა საპარლამენტო არჩევნებამდე სულ მცირე 6 თვით ადრე (*12 პრიორიტეტის შესრულების შესახებ შუალედურ ანგარიშში ევროკავშირი საქართველოს 2020 წლის 19 აპრილს პარტიებს შორის გაფორმებული "შარლ მიშელის შეთანხმების" შესრულებისკენ მოუწოდებს, რაც, მათ შორის, საარჩევნო ბარიერის 2%-მდე შემცირებას მოიცავს*);[9] • პარლამენტში ძალაუფლების განაწილება რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის ოპოზიციისთვის დათმობის გზით (*12 პრიორიტეტის შესრულების შესახებ შუალედურ ანგარიშში ევროკავშირი საქართველოს 2020 წლის 19 აპრილს პარტიებს შორის გაფორმებული "შარლ მიშელის შეთანხმების" შესრულებისკენ მოუწოდებს, რაც, მათ შორის, პარლამენტში ძალაუფლების განაწილებას და რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ოპოზიციის წარმომადგენლების დანიშვნას მოიცავს*);[10] • ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების კვალიფიციური უმრავლესობით (2/3) არჩევა;[11] • პარლამენტში თანამშრომლობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით 9 ნაბიჯის შესრულების პროცესში. „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციას პროცესში საფუძვლიანი მონაწილეობის საშუალება უნდა მისცეს, ხოლო ოპოზიციამ სამუშაო ჯგუფებსა და საკომიტეტო სამუშაო პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს;

[9] Press remarks by Neighbourhood and Enlargement Commissioner Olivér Várhelyi, following the informal General Affairs Council, Stockholm, 22 June 2023; EU-mediated 19th April Agreement "A way ahead for Georgia"(Charles Michel Agreement) 19.04.2021 p.3

[10] Press remarks by Neighbourhood and Enlargement Commissioner Olivér Várhelyi, following the informal General Affairs Council, Stockholm, 22 June 2023; EU-mediated 19th April Agreement "A way ahead for Georgia"(Charles Michel Agreement) 19.04.2021 p.7

[11] Joint Opinion of the Venice Commission and ODIHR on the Draft amendments to the Election Code and to the Rules of Procedure of the Parliament of Georgia; 15-16 December 2023, para 58.

- პოლიტიკური პოლარიზაცია უარყოფითად აისახა პარლამენტში 12 პრიორიტეტის შესრულებისა და რეფორმირების პროცესზე; პარტიათაშორისი მუშაობა შეზღუდული იყო ერთი მხრივ, მმართველი პარტიის მიერ კანონშემოქმედებით პროცესში ოპოზიციის არჩართვის, ხოლო მეორე მხრივ - ოპოზიციის ნაწილის მხრიდან პერიოდული ბოიკოტების გამო; - მმართველი პარტიისა და პრეზიდენტის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუარესდა; - პოლიტიკური ლიდერებისა და რადიკალური ჯგუფების აგრესიულმა რიტორიკამ, ასევე ე.წ. „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონპროექტის ინიციირებამ საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ხელსაყრელ გარემოს; - ჟურნალისტებისა და მედია წარმომადგენლების მისამართით მწვავე რიტორიკით აგრესიული გარემო შეიქმნა, რაც უარყოფითად აისახა მედიის თავისუფლებასა და პლურალიზმზე; - მმართველმა პარტიამ ორჯერ მიმართა საპროცედურო ხერხს და ოპოზიციას ხელი შეუშალა საგამოძიებო კომისიების შექმნაში, რომლებიც სასამართლო სისტემაში შესაძლო კორუფციული ქმედებების და ე.წ. ქოლ-ცენტრების საკითხის შესწავლას ემსახურებოდა.	● „ქართული ოცნების“ მიერ ოპოზიციისთვის პარლამენტში მის ხელთ არსებული ბერკეტების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობის მიცემა, მათ შორის, ოპოზიციის მიერ ინიციირებული საკანონმდებლო პროექტების დროული განხილვით, საგამოძიებო კომისიების შექმნაში ხელის არშეშლით და ა.შ.; ● პოლიტიკურ ოპონენტებზე ძალადობის ან/და ძალადობის წახალისების გზით პოლარიზაციის გაღრმავების შეწყვეტა და აქამდე ჩადენილი ძალადობის ფაქტების ადეკვატური გამოძიება; ● „ქართულ ოცნებასა“ და პრეზიდენტს შორის პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება, მათ შორის, პრეზიდენტის ლეგიტიმურობის კითხვის ნიშნის ქვეშ არდაყენებით და მასთან თანამშრომლობის განახლებით; ● „ქართული ოცნების“ მხრიდან სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან კონფრონტაციული განცხადებებისა ან/და ქმედებების შეწყვეტა, მათი საქმიანობისთვის ხელშემშლელი კანონების ინიციირებაზე უარის თქმა და კონსტრუქციული თანამშრომლობის დაწყება, განსაკუთრებით 9 ნაბიჯის შესრულების კონტექსტში; ● „ქართული ოცნების“ ლიდერების მხრიდან კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიების პოლიტიკური გადაცემების და დებატების ბოიკოტის შეწყვეტა და კრიტიკულ მედიასთან თანამშრომლობის განახლება; ანალოგიურად, პრო-სახელისუფლებო ტელევიზიებს და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის აღდგენა; ● მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსის მიღწევის მიზნით, კონსტრუქციული თანამშრომლობის რეჟიმის ჩამოყალიბება ისეთ საპარლამენტო დანიშვნებზე, სადაც მაღალი კვორუმი იქნება საჭირო;

	• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მრავალპარტიული დიალოგისა და კოალიციური მმართველობის პოლიტიკური კულტურის გაძლიერების ხელშეწყობა;[12] • ევროპარლამენტთან ჟან მონეს დიალოგის ჩამოყალიბება "ქართულ ოცნებასა" და ოპოზიციას შორის პოლიტიკური დიალოგის გასაგრძელებლად.[13]

[12] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p. 15
[13] EU-mediated 19th April Agreement "A way ahead for Georgia"(Charles Michel Agreement) 19.04.2021 p. 7

4. თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით 2024 წელს, და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. არჩევნების დღემდე გაცილებით ადრე საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის ამომრჩევლის ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს:** - უზრუნველყოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩატარება; - დაასრულოს საარჩევნო რეფორმები, მათ შორის ამომრჩეველთა ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, არჩევნების დღემდე საკმაო პერიოდით ადრე; - სრულად გაითვალისწინოს ვენეციის კომისიისა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციები, მათ შორის წინა წლებში გამართულ არჩევნებზე დაყრდნობით მომზადებული რეკომენდაციები დაშინებასა და ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებაზე; - უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; - ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი შეუსაბამოს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2023 წლის დეკემბრის რეკომენდაციებს;	• თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საპარლამენტო არჩევნების უზრუნველყოფა; აღნიშნული გულისხმობს წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის პროცესების შესაბამისობას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შესახებ ეუთო/ოდირის მიერ დადგენილ სტანდარტთან[14]; • საკონსტიტუციო ცვლილების დასრულება, მათ შორის საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით. პოლიტიკურ პარტიებს შორის 2021 წლის 19 აპრილს მიღწეული შეთანხმების[15] საფუძველზე საკონსტიტუციო ცვლილების საკითხის დროულად გადაწყვეტა, პარლამენტში ამომრჩევლის ხმების ადეკვატურად წარმომადგენლობის მიზნით[16]. • წინასაარჩევნო პერიოდში მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის მკვეთრი ზღვრის გავლება. ადმინისტრაციული რესურსისა და სახელმწიფო უწყებების მმართველი პარტიის სასარგებლოდ გამოყენების გამორიცხვა[17]; • ამომრჩეველთა დაშინების/მუქარის, მათზე ზეწოლისა და მათი მოსყიდვის პრაქტიკაზე უარის თქმა; ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა და კონტროლის მექანიზმების გამორიცხვა[18]. • საარჩევნო დარღვევების დროული და ეფექტიანი გამოძიება და შესაბამისი რეაგირება, მათ შორის დამნაშავეთა სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა[19];

[14] ეუთოს ვალდებულებები არჩევნებთან დაკავშირებით. ეუთოს კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი, 1990.
[15] პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმება.
[16] Commission, 2023 Communication on EU Enlargement Policy, COM(2023) 690, 08.11.2023.
[17] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების საბოლოო ანგარიში; ეუთო/ოდირი, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების საბოლოო ანგარიში
[18] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების საბოლოო ანგარიში. ეუთო/ოდირი, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების საბოლოო ანგარიში.
[19] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p. 14.

- სათანადოდ გამოიძიოს ბრალდებები საარჩევნო დარღვევების შესახებ, რომლებიც აღნიშნულია ეუთო/ოდირის ანგარიშებში. **ევროკავშირის შეფასებით:** - 2022 წლის დეკემბერში საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები არ პასუხობს ეუთო/ოდირის საკვანძო რეკომენდაციებს, მათ შორის როგორიცაა საარჩევნო ოლქების დელიმიტაცია, წინასაარჩევნო კამპანიის რეგულაციების შეცვლა და ამომრჩეველთა დაშინების წინააღმდეგ პრევენციული ზომების მიღება; - 2023 წლის ივნისის ცვლილებები არ შეესაბამება ვენეციის კომისიის დასკვნას, რადგან ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის პრეროგატივას პარლამენტს ანიჭებს, სხვა ინსტიტუტების, მათ შორის პრეზიდენტის ჩართულობის შესაძლებლობის გარეშე; - კვლავ გამოუძიებელი რჩება ამომრჩეველთა დაშინების და მათზე ზეწოლის, ასევე ხმების მოსყიდვის შემთხვევები; მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის ივლისში გენერალურმა პროკურატურამ საარჩევნო დარღვევების გამოძიება დაიწყო, რომელიმე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დღემდე არ დამდგარა.	● 2022 წლის ივლისში გენერალურ პროკურატურაში საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების გაგრძელება, საზოგადოების ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით და დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება[20]; ● ემიგრანტებისთვის ხმის მიცემის შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველსაყოფად, უსაფრთხო, სანდო და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვა; საარჩევნო ადმინისტრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ემიგრანტების საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის სათანადო გარანტიების შექმნა, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები ამომრჩევლების ინფორმირება[21]; ● საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის და აუდიტის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების სათანადო ჩართულობისა და ამ მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფა[22]; ● ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული გათვალისწინება, მათ შორის სრულყოფილი და ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმის განხორციელების დაწყება[23];

[20] Ibid

[21] ISFED, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ხედვა ევროკავშირში გაწევრების პროცესში საქართველოს მიერ საარჩევნო მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, 26.12.2023. გვ. 7-8.

[22] Joint Opinion of the Venice Commission and OSCE/ODIHR on the Draft amendments to the Election Code and to the Law on Political Associations of Citizens; 16-17 December 2022. Paragraph 38.

[23] Joint Opinion of the Venice Commission and OSCE/ODIHR on the Draft amendments to the Election Code and to the Rules of Procedure of the Parliament of Georgia,CDL-AD(2023)047 ODIHR-489/2023, 18.12.2023. Paragraph 46.

	• ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის 2023 წლის 18 დეკემბრის ერთობლივი რეკომენდაციის გათვალისწინება ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევასთან დაკავშირებით. კერძოდ, კომისიის წევრების სრული ვადით მაღალი კვორუმით არჩევა, რომელიც დაეფუძნება პარტიათა შორის კონსენსუსს. არჩევის პროცესში რამდენიმე კენჭისყრის უზრუნველყოფა, რომელთა შორის იქნება საკმარისი დრო კონსენსუსის უზრუნველყოფისთვის. კონსენსუსის და მაღალი მხარდაჭერის მოპოვების შეუძლებლობის შემთხვევაში 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული ანტიჩიხური მექანიზმის გამოყენება, რაც გულისხმობს დაბალი კვორუმით არჩეული წევრების მხოლოდ 6 თვიანი ვადით არჩევას. ვენეციის კომისია და ეუთო/ოდირი რეკომენდაციას უწევენ ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების ნომინირების უფლების პარლამენტის თავმჯდომარისგან, პრეზიდენტისთვის დაბრუნებას, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნვეყოფისთვის[24].

[24] Ibid. p.16-17.

5. საპარლამენტო ზედამხედველობის აღსრულების შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურებზე. საკვანძო ინსტიტუციების, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის, ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების კომისიის, ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს:** - გააძლიეროს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციები, მათ შორის ოპოზიციის მიერ საგამოძიებო კომისიის შექმნის დაშვებითა და „ნდობის ჯგუფში“ ოპოზიციის ჩართულობის უზრუნველყოფით; - უზრუნველყოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობა, აუდიო-ვიზუალური მომსახურების ევროდირექტივასა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისად; აღნიშნული მოიცავს: 1) Comcom-ის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალე რეგულაციების დამტკიცებას, გადაწყვეტილებების გასაჯაროებისა და საჩივრების განხილვის ჩათვლით; 2) წევრთა არჩევის პროცესის გამჭვირვალობისა და მათი გათავისუფლების საფუძვლების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას; 3) მედია საშუალებებთან ურთიერთნდობაზე დამყარებული თანამშრომლობის უზრუნველყოფას; - უზრუნველყოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა და პრეზიდენტის ჯეროვანი დანიშვნა; - უზრუნველყოს ცესკო-ს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.	**საპარლამენტო საზედამხედველო მექანიზმების გაუმჯობესება**: ზოგადი რეკომენდაციები: ● პრაქტიკაში ეფექტიანად დაინერგოს საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმები; საპარლამენტო უმრავლესობამ პროცედურული საბოტაჟის გზით ხელი არ შეუშალოს ოპოზიციის მცდელობებს, გამოიყენოს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისიები; ● რეკომენდებულია, პროცედურულად გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს საპარლამენტო კონტროლის ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა: მინისტრის საათი, ინტერპელაცია, თემატური მოკვლევა და თემატური მომხსენებელი და უზრუნველყოფილი იყოს ოპოზიციონერი დეპუტატების ჩართულობა როგორც საპარლამენტო, ისე საკომიტეტო მექანიზმების გამოყენებაში.[25] ● საპარლამენტო ზედამხედველობის პრაქტიკის სრულყოფის მიზნით, პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ მექანიზმებს დაემატოს „სამთავრობო საათის“ (Question Time) მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აქტუალურ საკითხებზე/პრობლემებზე არსებულ შეკითხვებზე მთავრობის წევრებისგან პასუხების მოსმენას/დებატებს (სხვა ქვეყნების კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით) [26]

[25] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში, 2023

[26] იქვე, გვ 22

ევროკავშირის შეფასებით: - უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობა, მათ შორის „ნდობის ჯგუფის“ ფარგლებში შეზღუდული რჩება; მმართველმა პარტიამ ორჯერ მიმართა საპროცედურო ხერხს და ოპოზიციას ხელი შეუშალა საგამოძიებო კომისიების შექმნაში, რომლებიც სასამართლო სისტემაში შესაძლო კორუფციული ქმედებების და ე.წ. ქოლ-ცენტრების საკითხის შესწავლას ემსახურებოდა. - გამოუძიებელი რჩება 2021 წლის ფარული მოსმენების საქმე; - პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით და შემდგომ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევით მიღებული ცვლილებები ეროვნული ბანკის ფუნქციონირების თაობაზე გარკვეულ შეშფოთებას იწვევს მისი დამოუკიდებლობის ხარისხთან დაკავშირებით; - კითხვის ნიშნებს იწვევს Comcom-ის წევრთა უფლებამოსილების ვადა; ასევე გადაწყვეტილებების მისაღებად ხმათა საჭირო კვორუმი; კომისიის წევრთა არჩევის მექანიზმი საჭიროებს გადახედვას გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად. - ცესკო-სთან მიმართებით, 2023 წლის ივნისის საარჩევნო ცვლილებები არ შეესაბამება ვენეციის კომისიის დასკვნას, რადგან ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის პრეროგატივას პარლამენტს ანიჭებს, სხვა ინსტიტუტების, მათ შორის პრეზიდენტის ჩართულობის შესაძლებლობის გარეშე; საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და პარლამენტმა ჯერ კიდევ უნდა აირჩიოს ცესკო-ს მუდმივი თავმჯდომარე და ორი პროფესიული წევრი; საჭიროა ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმა.	**უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო საზედამხედველო მექანიზმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:** ● საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელდეს ცვლილებები, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობას შეუზღუდავს შესაძლებლობას, პროცედურული მანიპულაციის გზით ხელი შეუშალოს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას; [27] ● განხორციელდეს ნდობის ჯგუფის ინსტიტუტის სისტემური ცვლილებები, საპარლამენტო სისტემაში მისი ინსტიტუციური მოწყობის და პარლამენტის წინაშე მისი ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით; ● ნდობის ჯგუფში უზრუნველყოფილი იყოს საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის თანაბარი წარმომადგენლობა; გაფართოვდეს ნდობის ჯგუფის საზედამხედველო უფლებამოსილებები უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე; [28] ● გაძლიერდეს ნდობის ჯგუფის აპარატი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით; ● 2021 წლის ფარული მოსმენების საქმესთან დაკავშირებით, რომელმაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არსებული სისტემური პრობლემები გამოავლინა, საქართველოს პარლამენტში შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია; ● ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე გაძლიერედეს დემოკრატიული ზედამხედველობა (მათ შორის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ღონისძიებების და მათზე ზედამხედველობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის სრულყოფილად გადახედვის გზით);

[27] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები, 2023.
[28] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები, 2020-2022, გვ. 18-19

	• პარლამენტში წარდგენილ სამთავრობო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის წარმართვის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები. ეს პარლამენტს საშუალებას მისცემს, ჯეროვნად გააკონტროლოს მთავრობის წევრთა საქმიანობა შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით; • გაუქმდეს რეგლამენტის საგამონაკლისო წესი კომიტეტის სხდომაზე პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორის ან/და სუს-ის უფროსის მოწვევასთან დაკავშირებით. [29] სხვა თანამდებობის პირების მსგავსად, პრემიერ-მინისტრი, გენერალური პროკურორი და სუს-ის უფროსი კომიტეტის სხდომაზე გამოცხადდნენ დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე; [30] • თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა აქტიურად გამოიყენოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა საზედამხედველო მექანიზმი; [31] • პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტმა უზრუნველყოს კომიტეტის მუშაობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა; • გამკაცრდეს თანამდებობის პირის მიერ რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული სანქციები; საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს ამ სანქციების პროაქტიულად გამოყენება; • დეპუტატების ყველა შეკითხვას ყველა ანგარიშვალდებული უწყების მიერ გაეცეს დროული და ამომწურავი პასუხი; [32] •

[29] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 40

[30] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები,2020-2022, გვ. 15

[31] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში, 2023

[32] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები, 2023, გვ.23-28

	• პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირები რეგლამენტის შესაბამისად გამოცხადდნენ პარლამენტში;[33] • გრძელვადიან პერსპექტივაში, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის რეორგანიზაციის კონცეფციის მომზადება. **საარჩევნო ადმინისტრაცია** • საარჩევნო ადმინისტრაციის კუთხით, ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის იმგვარ მოდელზე დაბრუნება, სადაც ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების თანამდებობაზე სრული ვადით ასარჩევად პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერის საჭიროება იარსებებს და უზრუნველყოფილი იქნება პროცესში პრეზიდენტის ინსტიტუტის შინაარსობრივი მონაწილეობა[34]; • აღნიშნულ წესზე დაბრუნების შემდგომ, ცესკოს თავმჯდომარისა და ორი პროფესიული წევრის არჩევა კონსენსუსით და მაღალი მხარდაჭერით, სასურველია სრული ვადით[35];

[33] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები, 2023, გვ. 29-30

[34] Joint Opinion of the Venice Commission and OSCE/ODIHR on the Draft amendments to the Election Code and to the Rules of Procedure of the Parliament of Georgia; 15-16 December 2023. p.16.

[35] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ხედვა ევროკავშირში გაწევრების პროცესში საქართველოს მიერ საარჩევნო მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ. 26.12.2023. გვ. 9.

	• ქვედა დონის საარჩევნო (საოლქო/საუბნო) კომისიების დაკომპლექტების პროცესის გამჭვირვალედ და სამართლიანად წარმართვა; ასევე სამივე დონის საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლად და კანონის მოთხოვნის შესაბამისად მუშაობა როგორც არჩევნების დღეს, ასევე წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდებში[36]. **ეროვნული ბანკი** • ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან პროგრამის შეჩერების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის გზით; • უმოკლეს დროში ეროვნული ბანკის საბჭოს სრულად დაკომპლექტება დამოუკიდებელი და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებით, არჩევის პროცედურის საუკეთესო პრაქტიკის დაცვით (რაც კანდიდატების საკომიტეტო მოსმენას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას გულისხმობს); საბჭოს სრულად დაკომპლექტების შემდეგ, ახლად არჩეულ წევრთაგან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არჩევა, რათა ეროვნული ბანკი განუსაზღვრელი ვადით მოვალეობის შემსრულებლის მიერ არ იმართებოდეს; • ასევე საჭიროა ეროვნული ბანკის მიერ ევროკავშირის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ დაწესებული ფინანსური სანქციების აღსრულებაში საგამონაკლისო წესის შესახებ ბრძანების გაუქმება, რომლის მიღებაც აშშ-ის მიერ ყოფილი გენერალური პროკურორის დასანქცირებას მოჰყვა.

[36] Joint Opinion of the Venice Commission and OSCE/ODIHR on the Draft amendments to the Election Code and to the Rules of Procedure of the Parliament of Georgia; 15-16 December 2023. p.16. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ხედვა ევროკავშირში გაწევრების პროცესში საქართველოს მიერ საარჩევნო მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ. 26.12.2023. გვ. 9.

	კომუნიკაციების ეროვნული კომისია[37] ● კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, უნდა შეიცვალოს Comcom-ის წევრთა არჩევის წესი, რა დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობა. კერძოდ: ● კომუნიკაციების კომისია უნდა დაკომპლექტდეს იმგვარი პრინციპით, რომ კომისიაში უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მხარდაჭერილი წევრები. ამისათვის შესაძლებელია, წევრთა არჩევა მოხდეს წევრის დანიშვნისთვის საჭირო ხმათა რაოდენობის გაზრდით, მაგალითად 2/3-მდე ან 3/4-მდე, ამჟამად მოქმედი უბრალო უმრავლესობის ნაცვლად, რაც შექმნიდა შესაძლებლობას კომისიის წევრები კონსენსუსის საფუძველზე შერჩეულიყო; ● ამასთან, მნიშვნელოვანია კანდიდატურების შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება მოხდეს ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი მონაწილეობით და საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების სიაში ხელისუფლების, ამ შემთხვევაში - პრემიერის მხრიდან თვითნებური ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა გამოირიცხოს; გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემდგომი ცვლილებების განხორციელება: ● კომუნიკაციების კომისიის სხდომები უნდა იყოს ღია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისია განიხილავს კონფიდენციალურ ბიზნეს ინფორმაციას;

[37] Council of Europe, Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Information Society and Action against Crime Directorate on The Law of Georgia on Broadcasting, February 21, 2023

	• კომისიის მიერ გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს მხოლოდ კომისიის სიითი შემადგენლობით გათვალისწინებულ წევრთა (და არა დამსწრეთა) ხმების უმრავლესობით; • კომუნიკაციების კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა უნდა შემცირდეს, ან განისაზღვროს 6 წლით, ხელმეორედ არჩევის უფლების გარეშე; • უნდა გადაიხედოს მთავრობის როლი ComCom-ის წევრთა შერჩევის პროცესში, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს პროცესის პოლიტიზირების საფრთხე; • უნდა გადაიხედოს საქართველოს პარლამენტის მიერ კომისიის წევრის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეწყვეტის წესი და საფუძვლები. უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს უნდა დაემატოს კომისიის წევრის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში. კანონმა მკაფიოდ განსაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა; • კარგი პრაქტიკის შესაბამისად, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშესაწყობად, კომისიამ ყოველწლიურ ანგარიშს უნდა დაურთოს მომავალი წლის საქმიანობის გეგმა, ასევე, ანგარიში წინა წლის გეგმის შესრულებაზე;

6. ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის დასრულება და განხორციელება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმის ჩათვლით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად განხორციელებისა და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფის გზით. **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს:** ● შეიტანოს ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რათა იგი სრულად შეესაბამებოდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების შესახებ მოსამართლეთა გადაყვანასთან და დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. უზრუნველყოფილი იქნეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში ეფექტიანი გასაჩივრების უფლება. ამ პროცესში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სავალდებულოდ აღიარებას. ● გატარდეს უფრო ფართო რეფორმა სასამართლო სისტემაში, კერძოდ - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, შეიქმნას საგანგებო სისტემა, რომელშიც საერთაშორისო ექსპერტებს ექნებათ გადამწყვეტი როლი, რათა შემოწმდეს	● სასამართლოს რეფორმირებისთვის ფართო, ინკლუზიური და პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსზე დაფუძნებული პროცესის წარმართვა;[38] ● კანდიდატების და სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე არჩეული პირების, მათ შორის, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, სასამართლოების თავმჯდომარეების კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის შექმნა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, რომლებსაც ექნებათ გადამწყვეტი როლი. აღნიშნული მექანიზმი შეიქმნას რეგიონში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით და ევროკომისიასთან და ვენეციის კომისიასთან კონსულტაციების გზით; [39] ● ჩამოყალიბდეს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პერმანენტული და პერიოდული შემოწმების სისტემა ამ პროცესში საერთაშორისო ექსპერტების საზედამხედველო და საკონსულტაციო ფუნქციებით[40] ● წინა რეფორმების და სისტემაში დღეს არსებული გამოწვევების დეტალური ანალიზი, რომლის მიზანიც იქნება შემდგომი რეფორმების სრულფასოვანი დაგეგმვა [41] ● სასამართლო რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ძირითად გამოწვევებს და სტრატეგიულ საკითხებს .[42] **ფუნდამენტური ინსტიტუციური რეფორმა:**

[38] Commission, 2023 Communication on EU Enlargement Policy, COM(2023) 690, 08.11.2023, p. 25, para. 16; Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023 p. 13, para. 2.2.1.
[39] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p. 20-21, para. 2.2.1.
[40] Ibid pp.20-21
[41] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p. 21, para. 2.2.1.
[42] Ibid p.21

კანდიდატებისა და სასამართლო სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე უკვე დანიშნული/არჩეული პირების კეთილსინდისიერება. იგულისხმება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და სასამართლოების თავმჯდომარეები. გარდა ამისა, შეიქმნას სისტემა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პერმანენტული და პერიოდული შემოწმების მიზნით, რომელშიც ჩართულები იქნებიან საერთაშორისო ექსპერტები საზედამხედველო და საკონსულტაციო მანდატით. ● მიიღოს [2022 წლის ოქტომბერში პირველი მოსმენით მიღებული] საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს გენერალური პროკურორის არჩევას კვალიფიციური უმრავლესობით. ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვენეციის კომისიის, OECD-ისა და TAIEX-ის რეკომენდაციების შესაბამისად.	საბჭოს უფლებამოსილებების, ფუნქციების, შემადგენლობის, მისი წევრების (მოსამართლე და არამოსამართლე) არჩევის წესების გადასინჯვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმების ბალანსის დაცვა, საბჭოს წევრების ეტაპობრივი არჩევა და მათი მეორე ვადით დანიშვნის შესაძლებლობის შეზღუდვა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეების მიერ სხვა ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შეზღუდვა.[43] **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა:** ● იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებების სავალდებულოობის მკაფიოდ განსაზღვრა;[44] ● უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღებისას ეფექტური ანტი-ჩიხური მექანიზმის შემუშავება (ვენეციის კომისია, 2023, გვ. 9)[45], ასევე ე.წ. „მეორე რაუნდის“ კენჭისყრის გაუქმება და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევის პროცესის უზრუნველყოფა;[46] ● უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ასაკობრივი და საკვალიფიკაციო კრიტერიუმის ზრდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის შემცირება (სამომავლო საკონსტიტუციო ცვლილებების დროს უნდა გადაიხედოს).[47]

[43] Ibid p. 21
[44]Venice Commission Opinion Organic Law on “Common Courts”, CDL-AD(2023)033, 09.10.2023,p. 8, para. 34-36
[45]Ibid. p.9, para. 39
[46]OSCE/ODIHR Opinion Opinion on the Draft Amendments to the Legal Framework on the Judiciary, 15.03.2023, p.15-16, para. 40.
[47]Venice Commission Opinion Organic Law on “Common Courts”, CDL-AD(2023)033, 09.10.2023 p. 9, para. 39

ევროკავშირის შეფასებით: - ევროკომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს, საერთო ჯამში, აქვს მომზადების გარკვეული დონე ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით, მაგრამ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მიღწეული პროგრესი ლიმიტირებულია . - მრავალპარტიული კონსენსუსის ნაკლებობამ შეაფერხა სასამართლო რეფორმა.	**ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიები:** ● თანხმობის გარეშე მოსამართლეთა მივლინების სისტემის რეფორმა და 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებამდე არსებული გარანტიების დაბრუნება კანონმდებლობაში [48]; ● საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება მოსამართლის ფუნქციურ იმუნიტეტთან დაკავშირებით;[49] ● საქმეთა შემთხვევითად ელექტრონული წესით განაწილების სისტემის იმგვარი შემდგომი დახვეწა, რაც შეამცირებს ზოგადი წესიდან არაერთ გამონაკლისს და საქმეთა განაწილების პროცესში გამორიცხავს არასათანადო გავლენებს;[50] ● „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის“ დარღვევის, როგორც მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობის დაზუსტება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და მისი პრაქტიკაში განმარტებისას მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა.[51] **მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ეფექტიანობა:** ● იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის გაზრდა ვენეციის კომისიის და ODIHR-ის რეკომენდაციების საფუძველზე;[52] ● სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაუყოვნებლივ, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესაბამისად;[53]

[48] Venice Commission Opinion Organic Law on “Common Courts”, CDL-AD(2023)033, 09.10.2023 p.15-16
[49] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p. 27
[50] Ibid.pp.22-23
[51] Venice Commission Opinion Organic Law on “Common Courts”, CDL-AD(2023)033, 09.10.2023 pp.7-8
[52] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p.20
[53] Ibid. pp.20-21,24

- 2023 წლის ივნისში პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში და 2023 წლის სექტემბერში შეიმუშავა დამატებითი ცვლილებები ვენეციის კომისიის ზოგიერთი რეკომენდაციის გათვალისწინებით. თუმცა, როგორც ევროკომისიის, ასევე, ვენეციის კომისიის ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები (ვენეციის კომისია, 2022, გვ. 15-16), რომლებიც არაერთხელ გამეორდა ვენეციის კომისიის 2023 წლის მარტის და 2023 წლის ოქტომბრის მოსაზრებაში, არ იქნა მხედველობაში მიღებული. კერძოდ, ცვლილებები არ შეეხო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველ რეფორმას, მათ შორის, მისი ფუნქციონირება და უფლებამოსილებები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მანდატი, ბალანსი მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის გადაწყვეტილების მიღებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ხელახალი არჩევის შეზღუდვა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ეტაპობრივი არჩევა, მოსამართლეთა მივლინებას მათი თანხმობის გარეშე და სხვ. მნიშვნელოვანია გაიზარდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება ვენეციის კომისიის და ODIHR-ის რეკომენდაციების საფუძველზე. - პარლამენტმა აირჩია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დარჩენილი ორი არამოსამართლე წევრი, რამაც გარკვეული შეშფოთება გამოიწვია.	● 2023 წლის სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებების მიღება „**საერთო** სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილები მიღებისთანავე;[54] ● სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემის დაძლევა;[55] მოსამართლეთა ვაკანსიების შევსება კვალიფიციური და კეთილსინდისიერი კადრებით ღია და დამსახურებაზე დაფუძნებული კონკურსის გზით;[56] მოსამართლეთა გადამზადება არაპირდაპირი მტკიცებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით.[57] ● გენერალური პროკურორის არჩევა პარლამენტის მიერ კვალიფიციური უმრავლესობით.[58] ● არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვა პროკურორების შიდა დამოუკიდებლობასთან და დისციპლინური წარმოების პროცედურასთან დაკავშირებით ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, OECD-ისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით.[59]

[54] Venice Commission Opinion Organic Law on “Common Courts”, CDL-AD(2023)033, 09.10.2023
[55] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p. 25
[56] Ibid. p.24
[57] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p.24
[58] Ibid. p. 21
[59] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, pp. 21-23

- 2022 წლის ოქტომბერში პარლამენტის მიერ დამტკიცებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ ეხება მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ძირითად გამოწვევებს და არ მოიცავს სტრატეგიული მნიშვნელობის თემებს (წინა რეფორმების იმპლემენტაციის დეტალური ანალიზი და დარჩენილი გამოწვევები, ქმედებების თანმიმდევრობა, ვადები, პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრა, ინდიკატორები, მონიტორინგის მექანიზმი და ა.შ.). - სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის თანახმად უნდა გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა. ბოლო კონკურსის შედეგად, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეების 76 ვაკანტური ადგილიდან მხოლოდ რვა შეივსო. საჭიროა მეტი ძალისხმევა, რათა არსებული ვაკანსიები შეივსოს კვალიფიციური კადრებით, რომლებიც აკმაყოფილებენ კეთილსინდისიერების მოთხოვნებს და პროცესი იყოს ღია და დამსახურებაზე დაფუძნებული. - საქმეთა განხილვის გადაჭარბებული ხანგრძლივობა (ადმინისტრაციულ საქმეებზე 529 დღე) აფერხებს სასამართლოს ეფექტიან კონტროლს და საჭიროებს განხილვის დროის შემცირებას. - ვენეციის კომისიის მოსაზრების თანახმად, თუ 2023 წლის სექტემბრის ცვლილებების პროექტს მიიღებს	● ვენეციის კომისიისა და OECD-ის რეკომენდაციების გათვალისწინება საპროკურორო ინსტიტუტებთან დაკავშირებით, რაც მათ შორის გულისხმობს: 1) საპროკურორო საბჭოს შემადგენლობის გადახედვას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბალანსი პროკურორ და არა-პროკურორ წევრებს შორის; 2) პროკურორების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაზრდას საკადრო და დისციპლინური საკითხების მართვის ფუნქციის საპროკურორო საბჭოსა და გენერალურ პროკურორს შორის გადანაწილებით და ამ მიმართულებით საბჭოს უფლებამოსილების გაძლიერებით.[60] ● პროკურორების სწავლება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ფინანსური ხასიათის დანაშაულების გამოძიების კუთხით.[61]

[60]Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, pp.21-22
[61]Ibid. p. 24

პარლამენტი, რეკომენდაცია შესრულდება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის“ პრინციპის დარღვევისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს. - მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიხედვით. - რეკომენდაცია მოსამართლეთა ფუნქციურ იმუნიტეტთან დაკავშირებით კვლავ შესასრულებელია. - 2023 წლის ივნისში დაამტკიცა ცვლილებები, რომელიც ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულად ხელმისაწვდომობას გულისხმობს, როგორც მოთხოვნის საფუძველზე, ასევე ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით. ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას შეიძლება წლები დასჭირდეს, რადგან ისინი ხელმისაწვდომი ხდება საქმეზე მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. შესაბამისად, აუცილებელია ეს პროცესი შესწორდეს ევროპული სტანდარტების და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით. - სასამართლო სისტემაში არსებობს საქმეთა მენეჯმენტის სისტემა, მაგრამ საჭიროა მასში სტატისტიკური ელემენტის დანერგვა.	

- საქმეთა შემთხვევითად განაწილების სისტემა პრინციპის დონეზე შექმნილია. თუმცა შემთხვევითად განაწილების ზოგადი წესიდან არაერთი გამონაკლისის შემცირების მიზნით, საჭიროა სისტემის შემდგომი დახვეწა, რათა საქმეთა განაწილების პროცესში გამოირიცხოს არასათანადო გავლენები. - მოსამართლეთა სწავლება უნდა მოიცავდეს სამართალწარმოებაზე დაფუძნებულ (case-based) ტრენინგს, თუ როგორ გამოიყენონ არაპირდაპირი მტკიცებულებები, განსაკუთრებით კორუფციისა და ფულის გათეთრების საქმეებზე. - საჭიროა გენერალური პროკურორის არჩევის პროცედურის შემდგომი დახვეწა პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენციის პრინციპების საფუძველზე; არ შესრულებულა ვენეციის კომისიისა და OECD-ის რეკომენდაციები საპროკურორო ინსტიტუტებთან დაკავშირებით. „პროკურატურის შესახებ კანონში“ არ არის გაწერილი ზემდგომი პროკურორის (მათ შორის გენერალური პროკურორის) მიერ მითითებების წერილობით გაცემის ვალდებულება, ისევე როგორც ქვემდგომი პროკურორის უფლება და ვალდებულება განაცხადოს უკანონო მითითების თაობაზე. არ არსებობს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ პროკურორთა მითითებების კანონიერების გადახედვის მექანიზმები. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსი ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფ პროკურორებს უფლებამოსილებას ანიჭებს, ქვემდგომი პროკურორები საქმის წარმოებას ჩამოაცილონ და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მათი პასუხისმგებლობა სხვა პროკურორებს დააკისრონ.	

- დამატებით ძალისხმევას საჭიროებს პროკურორთა დისციპლინური წარმოების პროცედურის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, GRECO-ს და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. - პროკურორებისთვის საჭიროა სწავლება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ფინანსური ხასიათის დანაშაულების გამოძიების კუთხით.	

7. ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტიანობის, ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შემდგომი უზრუნველყოფა. ამ ორგანოებთან მიმართებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულება ინკლუზიური პროცესის გზით; კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეების გამოძიების ძლიერი გამოცდილების (ევროკავშირის თარგმანში - მონაცემთა ბაზის) შექმნა. **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს:** - უზრუნველყოს ანტი-კორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კანონმდებლობის გადახედვა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად; - შეასრულოს ODIHR-ის რეკომენდაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურების ხელმძღვანელთა დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით; - გამოასწოროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალ კანონში არსებული ხარვეზები და უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად; - უზრუნველყოს ანტი-კორუფციული ბიუროსა და შესაბამისი ძალოვანი სტრუქტურების ეფექტიანი და დამოუკიდებელი ფუნქციონირება, პოლიტიკური ნიშნით შერჩევითობის გარეშე; ქონებრივი დეკლარაციები უნდა შემოწმდეს ლეგიტიმურ შემოსავალთან მიმართებით და აუხსნელი განსხვავებების შემთხვევაში უნდა დაიწყოს გამოძიებები;	**ანტიკორუფციული ბიურო;** ● ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური და პერსონალური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების უზრუნველყოფა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად[62], იმგვარად, რომ გადაწყვეტილი იქნეს ევროკომისიის დასკვნაში იდენტიფიცირებული საკვანძო გამოწვევები, მათ შორის, ○ ანტიკორუფციული ბიუროსთვის კორუფციული საქმეების გამოძიების უფლებამოსილების და ამ მანდატის ეფექტურად განსახორციელებლად საჭირო ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის მინიჭება; ○ ანტიკორუფციულ უფროსს თანამდებობაზე არჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ მაღალი უმრავლესობით და ანტიკორუფციული ბიუროს ანგარიშვალდებულების განსაზღვრა მხოლოდ პარლამენტის წინაშე; ○ ანტიკორუფციული ბიუროს მიერ უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის, მაღალი დონის კორუფციასთან მიმართებით; ბიურომ უნდა იმოქმედოს პოლიტიკური შერჩევითობის გარეშე, მათ შორის, ქონების დეკლარაციები უნდა შემოწმდეს ლეგიტიმურ შემოსავალთან მიმართებით და აუხსნელი განსხვავებების შემთხვევაში უნდა დაიწყოს გამოძიება;

[62] Venice Commission, Opinion on the provisions of the Law on the fight against Corruption concerning the Anti-Corruption Bureau, 18 December 2023)

- შეასრულოს დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა სისტემური მიდგომის საფუძველზე, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად;
- მოამზადოს კორუფციულ საქმეებზე ჩატარებული გამოძიებების, სამართლებრივი დევნის, სასამართლო გადაწყვეტილებების და საბოლოო განაჩენების მონაცემთა ბაზა; გააძლიეროს საჯარო კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულება მაღალი დონის კორუფციულ საქმეებთან დაკავშირებით;
- მიიღოს ახალი ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; მის აღსასრულებლად გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები და შექმნას მონიტორინგის მექანიზმი;
- გაიწვიოს გადაწყვეტილება OECD-ის ანტიკორუფციული ქსელის დატოვების თაობაზე და შეასრულოს წინა შეფასების რაუნდების რეკომენდაციები.

- აწარმოოს იმგვარი სტატისტიკა, რომელიც შესაძლებელს გახდის სისხლის სამართლის საქმეების მთელი ჯაჭვის მონიტორინგს. კერძოდ, განისაზღვროს დაწყებული გამოძიების, წარდგენილი ბრალდების და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების შემთხვევების რაოდენობა და ამგვარად შეაფასოს გამოძიების ხარისხი და პროკურატურის მიდრეკილება სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართ.

ევროკავშირის შეფასებით:
- კვლავ შეუსრულებელი რჩება GRECO-ს რეკომენდაციების ნაწილი სასამართლო სისტემაში კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებით;

- ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება და მის აღსასრულებლად შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფა და ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა;

- OECD-ის ანტიკორუფციულ ქსელში დაბრუნება[63] და წინა შეფასების რაუნდების რეკომენდაციების სრული იმპლემენტაცია;

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიებისა და ეფექტიანობის გაძლიერება, სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევის წესის ცვლილება, ასევე მათი არსებული მანდატის დახვეწა და ახალი უფლებამოსილებების მინიჭება ევროკომისიის, ვენეციის კომისიისა[64] და OSCE/ODIHR[65] რეკომენდაციების შესაბამისად. მათ შორის,

a. სამსახურების უფროსის თანამდებობაზე განმწესების და თანამდებობიდან გადაყენების წესის ცვლილება, ასევე სამსახურის საკვანძო თანამშრომლებისთვის შესაბამისი ხარისხის იმუნიტეტის მინიჭება. მათ შორის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევი კომისიიდან გენერალური პროკურატურის ჩართულობის საკითხის გადახედვა. სამსახურის უფროსის შესარჩევი კრიტერიუმებისა და კომისიის მიერ კანდიდატთა შერჩევისთვის გადაწყვეტილების მიღების წესის გადახედვა;
b. სამსახურის უფროსის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაზე პარლამენტის თანხმობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის ცვლილება;

[63] Press remarks by Neighbourhood and Enlargement Commissioner Olivér Várhelyi, following the informal General Affairs Council, Stockholm, 22 June 2023;
[64] Venice Commission, Opinion on the law on the special investigation service and on the provisions of the law on personal data protection concerning the personal data protection service, December 18, 2023
[65] OSCE/ODIHR, Opinion on the Legislative Amendments on the State Inspector's Service of Georgia, GEN-GEO/436/2022 [NR], 18.02.2022

- 2019 წლიდან არ გამართულა კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული საბჭოს შეხვედრები; მნიშვნელოვანია საბჭოსა და ანტი-კორუფციული ბიუროს მანდატის ნათლად განსაზღვრა, განსაკუთრებით პოლიტიკის შემუშავებისა და მონიტორინგის მიმართულებით;
- კორუფციასთან დაკავშირებული საგამოძიებო ფუნქციები განაწილებულია პროკურატურას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, იუსტიციის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შორის, რომელთა საგამოძიებო ქვედანაყოფები მოკლებულნი არიან ავტონომიურ უფლებამოსილებებს და დამოუკიდებლობის გარანტიებს, რათა პოლიტიკური ჩარევის პრევენცია მოახდინონ. ასევე არ არსებობს ამ ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა დანიშვნის გამჭვირვალე პროცედურა. მაღალი დონის კორუფციული საქმეების გამოძიებასა და საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი ცალკე მდგომი სტრუქტურა შექმნილი არ არის. მეტი უნდა გაკეთდეს ამ სფეროში გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით.
- ანტი-კორუფციული პოლიტიკა გათვალისწინებულია რიგ თემატურ სტრატეგიებში (მაგალითად, საჯარო მმართველობის სტრატეგია, დეცენტრალიზაციის სტრატეგია), თუმცა მას აკლია ყოვლისმომცველი და სისტემატიზებული მიდგომა; საჭიროა მიზნობრივი რისკების შეფასება და ზომების მიღება იმ სფეროებში, რომლებიც მეტად მოწყვლადია კორუფციის მიმართ;
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი ძალიან ფართოა; აღნიშნული წარმოშობს რისკს, რომ მისი მთავარი ფუნქცია, რაც სამართალდამცავების მიერ ჩადენილი წამებისა თუ სხვა არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების გამოძიებაში მდგომარეობს, სათანადო ყურადღებისა და რესურსების მიღმა დარჩება;

c. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის გადახედვა. მანდატის დაახლოება სამსახურის არსებობის რეალურ მიზნებთან. მანდატის გაფართოება, მათ შორის, პროკურორებზე, ისევე როგორც შსს მინისტრზე, სუს-ის უფროსსა და გენერალურ პროკურორზე;
d. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ პროკურატურისგან საქმის მის იურისდიქციის დაქვემდებარების მოთხოვნაზე უარის, ასევე პროკურატურის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისგან საქმის ამოღების და გამოძიების მიზნებისთვის სხვა ორგანოსთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების წესის ცვლილება, იმგვარად, რომ არსებობდეს ამ გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება;
e. საგამოძიებო სამსახურის ფუნქციური ავტონომიის უზრუნველყოფა საქართველოს პროკურატურისგან, მათ შორის, საგამოძიებო სამსახურისთვის საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობის მინიჭების გზით;
f. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურისთვის უფლებამოსილების მინიჭება ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად მოამზადოს სპეციალური ანგარიშები საჭიროების არსებობის შემთხვევაში.
g. სამსახურების აღჭურვა დაკისრებული ფუნქციების დამოუკიდებლად და ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიებისა და ეფექტიანობის გაძლიერება, სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევის წესის ცვლილება, ასევე მათი არსებული მანდატის დახვეწა და ახალი უფლებამოსილებების მინიჭება ევროკომისიის, ვენეციის კომისიისა[66] და OSCE/ODIHR რეკომენდაციების[67] შესაბამისად.

[66] Venice Commission, Opinion on the law on the Special Investigation Service and on the provisions of the law on personal data protection concerning the Personal Data Protection Service, CDL-AD(2023)044, 18.12.2023
[67] OSCE/ODIHR, Opinion on the legislative amendments on the State Inspector's Service of Georgia. Nr.: GEN-GEO/436/2022 [NR], 18.02. 2022

8. დეოლიგარქიზაციის არსებული სამოქმედო გეგმის გაუმჯობესება მრავალსექტორული, სისტემური მიდგომის განსახორციელებლად, ვენეციის რეკომენდაციების შესაბამისად და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის წარმოებით, რომელშიც ჩართულები იქნებიან ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება. **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს:** – გადადგას შემდგომი ნაბიჯები დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის სრულყოფისა და შესრულების დაწყებისთვის, მოამზადოს კორუფციულ საქმეებზე, განსაკუთრებით მაღალ დონეზე, ჩატარებული გამოძიებების, სამართლებრივი დევნის, სასამართლო გადაწყვეტილებების და საბოლოო განაჩენების მონაცემთა ბაზა და უზრუნველყოს პოლიტიკურ, სასამართლო და ეკონომიკურ სფეროებში ფართო პირადი ინტერესებისა და გავლენების კუთხით არსებულ გამოწვევებზე რეაგირება; - შეასრულოს სამოქმედო გეგმა სისტემური მიდგომის საფუძველზე, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად; აღნიშნული მოიცავს ახალი ანტი-კორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღებას და მათ სრულყოფილ განხორციელებას სათანადო ფინანსური სახსრებისა და მონიტორინგის მექანიზმების უზრუნველყოფით; - დროულად აამოქმედოს ინკლუზიური და ეფექტიანი მექანიზმი სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, რომელიც ასევე - მოემსახურება გეგმის საჭიროებისამებრ გადახედვას და შევსებას.	• ოლიგარქიის მავნე გავლენებთან ბრძოლა „სისტემური“ მიდგომის საფუძველზე; დეოლიგარქიზაციის ნაბიჯის შესრულება უნდა მოხდეს სხვა პრიორიტეტების შესრულების გზით, რაც ვენეციის კომისიის[68] რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაშია; • ვენეციის კომისიის მიერ დეოლიგარქიზაციის განხორციელების სისტემური მიდგომის ძირითადი მოთხოვნების ჯეროვნად იმპლემენტაცია, მათ შორის, მის იმპლემენტაციაში ჩართული საკვანძო ინსტიტუტების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა[69]; • არსებული სამოქმედო გეგმის[70] დახვეწა ევროკავშირის უკუკავშირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით; • სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებების დროულად მიღება და ადმინისტრაციული ღონისძიებების დროულად გატარება; • სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზომების პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულება, მათ შორის, მაღალი დონის კორუფციის შემთხვევების გამოძიება და შესაბამისი საქმის წარმოება, რათა მოხდეს მავნე გავლენის აღმოფხვრა როგორც პოლიტიკურ, ასევე სასამართლო და ეკონომიკურ სფეროებში[71]; • სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის პერიოდული, გამჭვირვალე და ეფექტიანი მონიტორინგის წარმოება.

[68] Venice Commission, Final Opinion on the Draft Law "On De-Oligarchisation", CDL-AD(2023)017, 12.06.2023

[69] Ibid.

[70] საქართველოში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერესების გადაჭარბებული გავლენის თავიდან არიდების სამოქმედო გეგმა, 27.11.2023

[71] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p. 5

9. ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესება, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ამბიციური სტრატეგიის განხორციელების და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის გზით. მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებების დაწყება ინციდენტებზე, რომლებიც ეხება დაუცველი ჯგუფების, მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების უსაფრთხოებას, და ძალადობაში დამნაშავე პირებისა და ორგანიზატორების გასამართლება. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების წარმოება და თანამშრომლობა, რაც მათ საშუალებას მისცემს არსებითად ჩაერთონ საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში, და მათი თავისუფალი მუშაობის უზრუნველყოფა. **ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს:** - უზრუნველყოს, რომ ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება დასრულდეს ინკლუზიური მიდგომის საფუძველზე და მასში გათვალისწინებულ იქნას სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული მოსაზრებები; გააძლიეროს ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება; მიიღოს მეტი ეფექტიანი ზომები სიძულვილის ენისა და სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისთვის; - დაამტკიცოს სახელმწიფო სტრატეგიები ყველა ტიპის სიძულვილსა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დასაცავად;	**სამოქალაქო საზოგადოებისა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება** ● სამოქალაქო საზოგადოებასთან, აკადემიურ წრეებსა და ოპოზიციასთან ფართო კონსულტაციების მეშვეობით ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გადასინჯვა სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიერ წამოჭრილი მთავარი საკითხების გათვალისწინება.[72] ● მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების ყოვლისმომცველი სისტემის განვითარება, რათა შეფასდეს ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და სტრატეგიების იმპლემენტაციის დონე;[73] ● სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან კონფრონტაციული რეჟიმის შეწყვეტა და მათი საქმიანობისთვის ხელის შემშლელი კანონების არმიღება, მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობის დაწყება, განსაკუთრებით 9 ნაბიჯის შესრულების კონტექსტში; ● სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და მასთან თანამშრომლობისთვის ყოვლისმომცველი სახელმწიფო სტრატეგიის ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით შემუშავება და დამტკიცება; კანონპროექტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების კონტრიბუციისთვის ქმედითი მექანიზმის შექმნა და მათი მოსაზრებების გაზიარება; ● ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინსტიტუტის ჩართულობის ქმედუნარიან ინსტრუმენტად ჩამოყალიბება[74];

[72]Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p. 28.
[73] Ibid. p. 29
[74] საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 05.02.2014

- გამოიძიოს და დასაჯოს 2021 წლის 5 ივლისის თბილისის პრაიდზე ჩადენილი ძალადობის ორგანიზატორები; ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში უზრუნველყოს LGBTIQ თემის უფლებების დაცვა; უზრუნველყოს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვა, მათ შორის დაინტერესებული მხარეების ფართო მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის შეცვლის გზით; - უზრუნველყოს სამართლებრივი რეაგირება 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე ძალის გადამეტებისა და არაპროპორციული ზომების გამოყენების შემთხვევებზე; - უზრუნველყოს ჟურნალისტების უსაფრთხოება და მათ წინააღმდეგ თავდასხმებზე დროული, მიუკერძოებელი და ჯეროვანი სამართლებრივი რეაგირება, მათ შორის 2021 წლის 5 ივლისს 50 ჟურნალისტის წინააღმდეგ განხორძიელებული ძალადობის კონტექსტში; - მოახდინოს საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი დაახლოება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილის ენის შესახებ, მათ შორის 2008 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით რასიზმისა და ქსენოფობიის გამოხატვის ცალკეულ ფორმებთან ბრძოლის შესახებ; - აღმოფხვრას ხარვეზები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალ კანონში და გააძლიეროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ვენეციის კომისიის დასკვნის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა ახალი რეგულაციების ადექვატური იმპლემენტაციის მიზნით	● სამინისტროებთან სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საკონსულტაციო საბჭოების აღდგენა და აქტიურად გამოყენება დარგობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებასთან რჩევებისა და პოზიციების გაზიარებისა და შეჯერებისთვის; **პირადი ცხოვრების დაცულობის უზრუნველყოფა** ● პირადი ცხოვრების უფლების დაცულობისთვის ფარული მიყურადების და ჩაწერის სისტემის სრულყოფილი გადახედვა. მოქმედი რეგულაციებით, ხშირია დუბლირება სხვადასხვა საგამოძიებო უწყებებს შორის და იქმნება ფარული ღონისძიებების არამართლზომიერად გამოყენების რისკები. საჭიროა, ფარული მიყურადების და ჩაწერის ღონისძიებებზე ზედამხედველობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის (მათ შორის, სასამართლო კონტროლის ხარისხის ზრდა ცალკეული ტიპის საქმეებზე და ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება) სრულყოფილად გადახედვა.[75] **თანასწორი უფლებრივი გარემოს უზრუნველყოფა** ● ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში LGBTQI+ თემის უფლებების, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის საკითხების ასახვა. ასევე, პირადი ცხოვრების დაცულობის ეფექტური მექანიზმების და წამებასთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინება;[76] ● ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად სამართლებრივი ჩარჩოსა და მათი განმახორციელებელი მექანიზმების გაძლიერება და სრულყოფა.[77]

[75] Venice Commission, Urgent Opinion on the draft law on the Amendments to the Criminal Procedure Code Adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, CDL-AD(2022)037, 25.10.2022
[76] Ibid. p. 29
[77] Commission, 2023 Communication on EU Enlargement Policy, COM(2023) 690, 08.11.2023,p. 32

- გააძლიეროს ფუნდამენტური უფლებების სრული პატივისცემა, მათ შორის მედია პლურალიზმის და თავისუფლების, ასევე შეკრების და გამოხატვის თავისუფლების, და ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციისგან და ძალადობისგან დაცვის მიმართულებით. **ევროკავშირის შეფასებით:** - ადამიანის უფლებათა სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების მიუხედავად, მასში არ არის ასახული ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორიც არის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის დისკრიმინაციის აღმოფხვრა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ჟურნალისტების დაცვა, პირადი ცხოვრების უფლების დაცვა, წამების აღკვეთა და სხვ.; - ფუნდამენტური უფლებების დაცვის კონტექსტში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სისხლის სამართლის კოდექსში პრეზიდენტის ვეტოს დაძლევით შეტანილი ცვლილებები და აჩენს კითხვებს, რამდენად შეესაბამება ისინი ევროპულ სტანდარტებს; აღნიშნული ცვლილებები ვენეციის კომისიის 2022 წლის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი; - ადგილი ჰქონდა დაშინებას, სიტყვიერ და ფიზიკურ თავდასხცებს მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით დემონსტრაციებისა და წინასაარჩევნო აქციების კონტექსტში, თუმცა მათი გამოძიება არაეფექტიანია;	• ეთნიკური უმცირესობებისთვის რეგულარული, დემოკრატიული და ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის ჩამოყალიბების მიზნით სამთავრობო და საპარლამენტო დონეზე ამგვარი საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების დაბალი პოლიტიკური რეპრეზენტაციის ფონზე. • ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემებიდან ქალი აქტივისტების უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა და შესაბამისი შემთხვევების გამოძიება. ულტრამემარჯვენე და ნაციონალისტური ძალების უმცირესობების მიმართ თავდასხმების აღკვეთა[78] • სახალხო დამცველის აპარატის ქვეშ არსებული უმცირესობათა საკონსულტაციო მექანიზმის გაძლიერება; [79] • ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ასევე ლგბტი ადამიანების უფლებების ეფექტიანი დაცვისთვის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერების, ისევე როგორც შესაბამისი სამოქმედო გეგმების დამტკიცების პროცესში "დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ" სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშების (2021-2023 წლები) რეკომენდაციების გათვალისწინება.[80]

[78] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor Preliminary observations and recommendations Tbilisi - 7 November 2023

[79] Resolution CM/ResCMN(2020)5 on the implementation of the Framework Convention for the Protection of National Minorities by Georgia

[80] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

- ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების მისამართით საჯარო თავდასხმებმა და მადესკრედიტირებელმა განცხადებებმა მაღალი თანამდებობის პირთა მხრიდან, როგორც პოზიციიდან ისე ოპოზიციიდან, ასევე რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან, აგრესიული გარემო შექმნა, რაც უარყოფითად აისახა მედიის თავისუფლებასა და პლურალიზმს; - გახშირებულია ოპოზიციური მედიის მფლობელების სამართლებრივი დევნა; ბოლოდროინდელი ცილისწამების სარჩელებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა კრიტიკულ მედია გაშუქებაზე; - საჯარო ინფორმაციაზე წვდომაზე უარი სერიოზულ გამოწვევას უქმნის მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც გავლენას ახდენს მათი მუშაობის დროულობაზე, სიზუსტესა და ხარისხზე; - ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ევროკავშირის საკანონმდებლო სტანდარტებთან მოდის შესაბამისობაში, თუმცა მისი აღსრულება არსებითად საჭიროებს გაუმჯობესებას. დისკრიმინაციული პრაქტიკების აღმოფხვრისთვის საჭირო სპეციალური ზომები არ არის გათვალისწინებული ეროვნულ სტრატეგიაში.	● სახალხო დამცველის მანდატის გაძლიერება, რათა მას შეეძლოს სავალდებულო სახით ინფორმაციის გამოთხოვა კერძო ორგანიზაციებისა და პირებისგან ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. ამასთან, დისკრიმინაციის საქმეებზე სახალხო დამცველის მიერ სასამართლოში მიმართვის ვადის 1 წლამდე გაზრდა.[81] ● ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავება ყველა ფორმის დისკრიმინაციის და ძალადობის/დისკრიმინაციის მოწოდების წინააღმდეგ; [82] ● ლგბტი და სხვა ჯგუფების დასაცავად ყოვლისმომცველი და მრავალგანზომილებიანი სახელმწიფო პოლიტიკის განვითარება და განახორციელება, მათ წინააღმდეგ საზოგადოებაში არსებული შეუწყნარებლობისა და ცრურწმენების აღმოფხვრა, ტარგეტირებული ცნობიერების ამაღლების კამპანიებით;[83] ● სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის, ასევე რელიგიის საფუძველზე ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, ძალადობის მასშტაბის სამწუხარო ზრდასთან ერთად, სპეციალიზებული საგამოძიებო განყოფილების შექმნისა და გამოძიების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო სხვა ხელშესახები ინსტიტუციური ღონისძიებების შესახებ მსჯელობის დაწყება; [84] ● ულტრა-მემარჯვენე რადიკალურ ჯგუფებთან გამკლავების თანმიმდევრული პოლიტიკის, შემუშავება და მათი მხრიდან მომდინარე ძალადობის პრევენცია;[85]

[81] Resolution CM/ResCMN(2020)5 on the implementation of the Framework Convention for the Protection of National Minorities by Georgia

[82] Submission by the Council of Europe Commissioner for Human Rights under Rule 9.4 of the Rules of the Committee of Ministers for the supervision of the execution of judgments and of the terms of friendly settlements, CommDH(2023) 35, 24.10.2023

[83] Ibid. para 22

[84] Committee of Ministers of the Council of Europe, 6-8 December 2022 (DH) H46-13, Identoba and Others group v. Georgia (Application No. 73235/12), Reference document CM/Notes/1451/H46-13,

[85] კოალიცია თანასწორობისთვის, დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, 2022 წლის ანგარიში, გვ. 66

- კვლავ რჩება გამოწვევები შეკრების თავისუფლების უფლების რეალიზების კუთხით, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რაც 2023 წლის 8 ივლისს თბილისის პრაიდის მონაწილეებზე ძალადობრივი თავდასხმის დროსაც გამოჩნდა; 2023 წლის 5 ოქტომბერს, წინასწარი კონსულტაციების გარეშე, დაჩქარებული წესით მიღებულ იქნა ცვლილებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რამაც სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია; ცვლილებები შეკრების თავისუფლების უფლების თვითნებული შეზღუდვის საშუალებას იძლევა; - LGBTIQ თემი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც სისტემური ჰომოფობიის, ნეგატიური სოციალური სტერეოტიპებისა და ჰომოფობიური სენტიმენტების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების მსხვერპლი ხდება; პოლიტიკოსებისა და საზოგადო პირების მხრიდან LGBTIQ თემის მისამართით გამოყენებული სიძულვილის ენა მდგომარეობას უფრო ამძაფრებს და და ზრდის ძალადობის რისკებს; ხელისუფლება არ აღიარებს დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და უთანასწორობის სისტემურ ხასიათს და, შესაბამისად, არ იღებს სათანადო ზომებს. საქართველოში არ არსებობს კონკრეტული მექანიზმები LGBTIQ თემის მხარდასაჭერად და სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციასთან საბრძოლველად;	● სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლთა დაცვის და დახმარების მიზნით შესაბამისი სახელმწიფო სერვისების შემუშავება და დანერგვა;[86] ● სიძულვილის ენისა და სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოწვევების საპასუხოდ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის ყველა ტიპის სიძულვილსა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის სტრატეგიის მიღების გზით; ● 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის დროული და ეფექტიანი გამოძიება, მათ შორის, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების და სახალხო დამცველის მიერ მოგროვებული მტკიცებულებების დიდძალი რაოდენობის გათვალისწინებით, და ორგანიზატორებისა და წამქეზებლების დასჯა. ასევე, 2023 წლის 8 ივლისის მოვლენების გამოძიება და დამნაშავეების დასჯა;[87] **შეკრების და გამოხატვის თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესება** ● შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, ეუთო/ოდირის დასკვნის შესაბამისად მანიფესტაციების დროს დროებითი კონსტრუქციების მოწყობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების მიღებაზე უარის თქმა. ამასთან, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკაში უმაღლესი სტანდარტით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში;[88]

[86] იქვე, გვ.67

[87] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, pp. 28, 34; European Parliament Resolution on the implementation of the EU Association Agreement with Georgia (2021/2236(INI),14.12. 2022

[88] OSCE/ODIHR, Urgent opinion on proposed amendments to the law of Georgia on assemblies and demonstrations and to the administrative offences code, November 6, 2023

- სტრუქტურირებული ჩართულობა და დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან ყველა დონეზე, მთავრობის, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების ჩათვლით საჭიროებს შემდგომ გაძლიერებას პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი და არსებითი ჩართულობის უზრუნველსაყოფად; - საქართველოს ჯერ არ გააჩნია სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ყოვლისმომცველი სახელმწიფო სტრატეგია; მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა 12 პრიორიტეტის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა მიეღოთ, მათ მოსაზრებებს კანონშემოქმედების, თუ დანიშვნების პროცესში იშვიათად ითვალისწინებდნენ; - სამოქალაქო საზოგადოების ოპერირებისთვის ხელსაყრელ გარემოს საფრთხეს უქმნიდა აგრესიული რიტორიკა პოლიტიკური ლიდერებისა და რადიკალური ჯგუფების მხრიდან, ასევე ე.წ. უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტი; - მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის შემუშავებისა და კანონშემოქმედების პროცესში საზოგადოებასთან კონსულტაციების მექანიზმები მოქმედებს როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე, მათი არსებითი გამოყენება არათანაბარია და დამოკიდებულია საკითხისა და ინსტიტუტის თავისებურებაზე; არ არსებობს საჯარო ონლაინ კონსულტაციებისა და კანონპროექტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების კონტრიბუციის ქმედითი მექანიზმი;	● დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სისტემურ ცვლილებაზე მუშაობის დაწყება. კოდექსის ცვლილების დროს გათვალისწინებული იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები. მათ შორის, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა უფლებების არასათანადო დაცვის გარანტიების გაუმჯობესება, მტკიცების ტვირთის სტანდარტის გაუმჯობესება ისე, რომ დაკავებულებს არ უწევდეთ მათი უდანაშაულობის მტკიცება, დაკავების კანონიერების შემოწმების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის არსებობა და სხვა[89]; ● მედიის საქმიანობაში ხელშეშლის პრევენციის მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის ცვლილებაზე მუშაობის დაწყება[90]; ● სასამართლოების მიერ კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების გაჩუმების მიზნით, ცილისწამების საფუძვლით დაწყებული დავების გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტებით განხილვა და გადაწყვეტა[91]; ● ხელისუფლების მიერ მედიის საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონების პარლამენტში ინიციირებისგან თავის შეკავება, ხოლო უკვე არსებული კანონმდებლობის გადახედვა და გამოხატვის და მედიის თავისუფლების მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; ● საჯარო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადებში გაცემა[92]; ● ხელისუფლების მიერ ოპოზიციური მედიების მფლობელთა უსაფუძვლო სამართლებრივი დევნის დაუშვებლობა[93];

[89] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p.29
[90] Ibid. p.35
[91] Ibid. p.11

[92] Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023, p.36
[93] Ibid. p.6

- რელიგიური უმცირესობების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები საჭიროებს ეფექტიან გამოძიებას, მიუხედავად იმისა რომ ზოგიერ თავდასხმაზე გამოძიება დაიწყო, დისკრიმინაცია და ფიზიკური ძალადობა რელიგიური შეუწყნარებლობით ნაკლებად ეფექტიანად არის გამოძიებული. 2021 წელს თბილისი პრაიდზე მომხდარი ძალადობის გამოძიება და სამართლებრივი დევნა არ მომხდარა ძალადობის ორგანიზატორების მიმართ. 2023 წლის 16 იანვარს სააპელაციო სასამართლომ სასჯელი შეუმცირა ბრალდებულებს (გამორიცხა მათი კვალიფიკაციიდან „ორგანიზების“ ნაწილი). სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსით დამამძიმებელი გარემოებაა, თუმცა დროული და ეფექტური გამოძიება ამგვარი საქმეების მაინც ვერ ხდება, ისევე როგორც ხარვეზიანია სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირება და ბრალდება ეთნიკური უმცირესობების ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში, რომელსაც ძირითადად ჩადიან ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები.	• ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ჟურნალისტთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანად გამოძიება; • მაღალი თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან მედიის მადისკრედიტირებელი ნარატივების გავრცელებისა და კამპანიების განხორციელებისგან თავის შეკავება[94];

[94] Ibid. p. 34

- სიძულვილის ენის გამოყენება პოლიტიკოსების და საჯარო ფიგურების მხრიდან LGBTIQ ადამიანების წინააღმდეგ, მათ საზოგადოებაში კიდევ უფრო მიუღებელ სეგმენტად აქცევს და აფართოებს მათზე ძალადობის არეალს. 2022 წელს მომხდარი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება არ შეესაბამება ეფექტურობის და დროულობის სტანდარტებს. ასეთი დასკვნა ჰქონდა ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, რომელმაც დაადგინა რომ სახელმწიფოს მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირება და სწორი კვალიფიკაცია.	

ევროკომისიის მიერ 2023 წლის 8 ნოემბერს საქართველოსთვის განსაზღვრული

9 ნაბიჯის შესრულების მატრიცა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხედვა

მეთოდოლოგია

<u>მატრიცა შედგება 2 სვეტისგან:</u>

მარცხენა სვეტი - ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები

<u>ამ სვეტში წარმოდგენილია 3 კომპონენტი:</u>

1. შესასრულებელი ნაბიჯი
2. ამ ნაბიჯის შესასრულებლად განსახორციელებელი ზომები
3. შესაბამისი მიმართულებით არსებული ვითარების შეფასება/აღწერა

მატრიცის ეს ნაწილი ეყრდნობა ევროკომისიისა და ევროპული საბჭოს 2023 წლის გაფართოების პაკეტის ფარგლებში გამოქვეყნებულ დოკუმენტების მხოლოდ იმ პარაგრაფებს, რომლებიც ეხმიანება და აკონკრეტებს 9 ნაბიჯის მინაარსს:

1. ევროკომისიის 8 ნოემბრის კომუნიკაციას გაფართოების პაკეტის შესახებ

   Commission, 2023 Communication on EU Enlargement Policy, COM(2023) 690, 08.11.2023,

2. ევროკომისიის 8 ნოემბრის ანგარიშს საქართველოს შესახებ

   Commission, Staff Working Document, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697, 08.11.2023

3. ევროპული საბჭოს 12 დეკემბრის დასკვნებს გაფართოების შესახებ

   General Affairs Council, Conclusions, EUCO 20/23, 15.12.2023

მარჯვენა სვეტი - ნაბიჯების შესასრულებლად განსახორციელებელი ღონისძიებები:

ამ სვეტში მოცემულია დეტალური ხედვა/გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯის ეფექტიანი იმპლემენტაცია

მატრიცის ეს ნაწილი ეყრდნობა 9 ნაბიჯის შესრულებასთან დაკავშირებულ შემდეგ ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებს:

1. **ევროკომისიისა და ევროპული საბჭოს დოკუმენტები 2023 წლის გაფართოების პაკეტის ფარგლებში;**
2. **ვენეციის კომისიის მოსაზრებები;**
3. **ეუთო/ოდირის მოსაზრებები;**
4. **ევროპარლამენტის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციები;**
5. **სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი სტრუქტურების ოფიციალურ დოკუმენტები;**
6. **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევები, ანგარიშები და რეკომენდაციები.**